ოქმი:**ო12. 3725359001**

თარიღი:**25/12/2025**

ოქმი N 4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2025 წელი, 23 დეკემბერი
ქ.ოზურგეთი
16:00 საათი

თავმჯდომარეობდა: ტატა ბარამიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: დ. ხურციძე, ნ. ნადირაშვილი, ვ. ხავთასი, ნ. ჭანიშვილი, კ. კვაჭაძე, ი. დობორჯგინიძე, გ.კალანდაძე, თ. ქავთარია, მ. ცქვიტიშვილი, ე. წუწუნავა, გ. ჩავლეშვილი, გ. სირაძე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დ. კიკვაძე

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი პავლე ჭყონია, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მაიზერ ცელაძე.

საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენელები.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე

მომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: მაიზერ ცელაძე

სხდომის თავმჯდომარემ, ტატა ბარამიძემ კომისიის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის კორექტირებულ პროექტის შესახებ. ასევე, კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესთან დაკავშირებული ძირითადი ცვლილებები. მან ყურადღება გაამახვილა პროგრამულ და ქვეპროგრამულ ცვლილებებზე და აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა და შეზღუდული შესაძლებლობების

მქონე პირთა დახმარებების პროგრამების დაფინანსებაში

ჟურნალისტმა გიორგი გირკელიძემ დასვა შეკითხვა: გათვალისწინებულია თუ არა 2026 წლის ბიუჯეტში სკოლებში სველი წერტილების მოწესრიგება? განმარტებულ იქნა, რომ აღნიშნული საკითხი ადგილობრივი თვითმართველობის კომპეტენციას სცილდება. ამასთან, ბიუჯეტით გათვალისწინებულია მხოლოდ მცირე სარემონტო სამუშაოების განხორციელება.

შემდეგ პროექტის გასაცნობად სიტყვა გადაეცა მ. ცელაძეს, რომელმაც კომისიის წევრებს პუნქტობრივად გააცნო 2026 წლის კორექტირებული ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები და მისი განხორციელების წესი.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და წარმოდგენილი საკითხი, განხილვა-დამტკიცების მიზნით წარედგინოს მუნიციპალიტეტის ბიუროსა და საკრებულოს სხდომას .

ტატა ბარამიძე

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი